შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№24 (10.080)

8–15 ივლისი, 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

არწივის ხეობის პროექტის შედეგები მოისმინეს



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი სასტუმრო „ავტოგრაფში“ გამართულ შეხვედრას დაესწრნენ, სადაც ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციამ კოლოთოს, არწივის ხეობისა და მის მიმდებარე ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიებზე განხორციელებული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტის შედეგები წარადგინა.

პროექტი „ეკოტურიზმის განვითარება ბუნების ძეგლის არწივის ხეობისა და მის მიმდებარე ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიებზე“ 2021 წელს ინოვაციურ იდეათა კონკურსის **„GreenOvation”**-ის გამარჯვებული გახდა, რომელიც **GIZ** -ის და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი პროგრამის - **ECOserve** - ის ფარგლებში ჩატარდა.

პროექტი „ეკოტურიზმის განვითარება ბუნების ძეგლის არწივის ხეობისა და მის მიმდებარე ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიებზე“ ითვალისწინებდა საფეხმავლო ბილიკის და ბუნგალოს აშენებას და ასევე საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას. 2021 წლის ამავე პერიოდში, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციამ გაეროს განვითარების პროგრამის **(UNDP)** მცირე გრანტების კონკურსში გაიმარჯვა, რომელიც საცხენოსნო ბილიკის და ბუნგალოს მშენებლობას ითვალისწინებდა. ორივე პროექტის გაერთიანების შედეგად, აღნიშნულ ტურისტულ ზონაში, შეიქმნა ინფრასტრუქტურა, რითიც მისი ეფექტურობა და დანიშნულების ადგილების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

პრეზენტაციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ასევე **GIZ** და **UNDP** წარმომადგენლები დაესწრნენ.

„პურის ბელელი“ გამოწვევის წინაშე

დედოფლისწყაროში ხორბლის აღება დაიწყო. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, კახეთში მარცვლეულის აღების პროცესში 300 ერთეული კომბაინია ჩართული. მოსავლის დაბინავების ხელშეწყობისთვის კი, ფერმერების პროტესტის შემდეგ, მთავრობამ 12 ივნისიდან ფქვილის იმპორტზე დროებითი გადასახადი დააწესა, რაც 1 ტონაზე 200 ლარს შეადგენს. მთავრობა იმედოვნებს, რომ ამ გადაწყვეტილებით კონკურენტული გარემო შეიქმნება და წისქვილკომბინატების ამუშავება მოხდება. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, როგორია მოსავლის რაოდენობა და რა ფასად იყიდება ახალი, ადგილობრივი ხორბალი?

ფერმერი **ნიკოლოზ ბენიაიძე** ამბობს, რომ წელს კლიმატურმა პირობებმა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობაც შეამცირა და მის ხარისხზეც უარყოფითად იმოქმედა. „ადრე გაზაფხულზე ნალექი არ მოვიდა და გვალვა იყო, მერე კი ჭარბმა ნალექმა პრობლემები შექმნა-უკვე შემოსულ ნათესებში ტექნიკა ვერ შედიოდა და მწიფობაში შესული ხორბლისა და ქერის მოსავალი ფუჭდებოდა“.

მის აზრს იზიარებენ სხვა ფერმერებიც. მათი ინფორმაციით, წელს საქართველოს „პურის ბელელში“ მოწეული ხორბალი ვერც სათანადო ხარისხითა და ვერც მოსავლის ოდენობით ვერ დაიკვეხნის.

„წელს 1ჰექტარზე 2,5-3 ტონამდე მოსავალი მივიღეთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1 ჰექტრის დამუშავება 2000 ლარამდე ჯდება,1 კგ. ხორბლის ფასი კი 45-50 თეთრს შეადგენს, მარტივი არითმეტიკაც საკმარისია იმის გამოსათვლელად, რომ წლევანდელი მოსავალი თვითღირებულებასაც ვერ აანაზღაურებს“ – ამბობენ დედოფლისწყაროელი ხორბლის მწარმოებლები. ზოგიერთი მათგანი კი უფრო პესიმისტურ სურათს ხატავს და ამბობს, რომ ჰექტარზე ხორბლის მოსავლიანობამ დაბალი ნიშნული შეადგინა და 1 ტონასაც ვერ გადააჭარბა, მარცვლეულის რეალიზაციას კი ჯერ ვერ ახერხებს, არსებული ფასით უკმაყოფილოა, რადგან ამ ფასში ხორბლის გაყიდვის შედეგად მხოლოდ შხამ-ქიმიკატებში გადახდილ თანხას თუ აინაზღაურებს.

ფერმერები ღიად საუბრობენ მარცვლეულის წარმოების დარგში შექმნილ პრობლემებზე, თუმცა აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა დარგის წასახალისებლად, კერძოდ, მოიზიდა ბევრი გრანტი და დაფინანსება გაუწია ფერმერებს, მაგრამ ამ პირობებში ეს ხელშეწყობა ამინდს ვერ ქმნის.

დარგის ექსპერტების განცხადებით, აგრარულ სექტორში შექმნილი პრობლემების სათავე რუსეთ-უკრაინის ომშია. სანამ ეს ომი არ დასრულდება და ახალი ბაზარი არ მოინახება, სადაც ქართული პროდუქციის რეალიზება მოხდება, მანამდე მარტო ადგილობრივი ძალებით ამ სისტემური პრობლემების მოგვარება არ მოხდება.

„კარგია, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ფქვილის იმპორტზე გადასახადს გულისხმობს, მაგრამ ცუდია, რომ მარცვლეულის მწარმოებელთა მეორე მოთხოვნა არ გაითვალლიაწინა, რაც საფურაჟე ხორბალზე დამატებითი ღირებულების გადასახადის დაწესებას ითვალისწინებდა. იმისთვის, რომ დარგი და ადგილობრივი მწარმოებლები ბოლომდე იყვნენ დაცულნი, საკანონმდებლო დონეზე უნდა მოხდეს მათი ინტერესების გათვალისწინება“ – აცხადებს გაზეთ „შირაქთან“ მარცვლეულის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ბენიაიძე.

დარგის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რომ სასტარტო ფასი ხორბალზე ყოველთვის დაბალია და ის, შემდეგ, ეტაპობრივად იზრდება. ეს დამოკიდებულია მსოფლიოში ხორბლის მოსავლიანობაზე და, შესაბამისად, მოთხოვნა-მიწოდების ბალანსზე. ფასი საბოლოოდ მას შემდეგ დადგინდება, როცა მოსავლის აღება მთლიანად დასრულდება. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება დედოფლისწყაროში, დაახლოებით, 10 დღეში დამთავრდება.

შეგახსენებთ, რომ კახელი მეხორბლეები 1 კგ ხორბლის ღირებულების სიმცირეს აპროტესტებენ. მათი თქმით, იმის ფონზე, რომ საწვავისა და მექანიზაციის ხარჯები გაიზარდა, ფერმერებს ხორბლის წარმოება ძვირი უჯდებათ, ფასი კი ხორბალზე კვლავ მცირეა. შარშან ამ დროს 1 კგ. ხორბლის ფასი გაცილებით მაღალი იყო.

***

საქართველოს წისქვილკომბინატების ეტაპობრივ ამუშავებასთან და ადგილობრივი ხორბლის მოსავლის აღებასთან ერთად, წისქვილკომბინატების მიერ მოსავლის მიღების პროცესი თანდათან აქტიურდება. ქართველი ფერმერების ყურადღება მიპყრობილია იქითკენ, როგორ მიმდინარეობს ხორბლის ჩაბარების პროცესი. ინტერესი ძირითადად უკავშირდება, რომელი წისქვილები იბარებენ და რა ფასი აქვს შესაბამისი ხარისხის ხორბალს. „ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაცია“ განცხადებას ავრცელებს:

„შესყიდვის პროცესისადმი მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გვინდა გავაკეთოთ განმარტება წისქვილკომბინატების მიერ ქართული ხორბლის მიღების ორ ძირითად კომპონენტზე: ხარისხზე და ფასზე და ასევე მოსავლის შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

1. **ხორბლის ხარისხი** – ხორბალი აუცილებლად უნდა იყოს სასურსათო დანიშნულების. ხორბლის ყველა პარტია, როგორც იმპორტირებული, ასევე ქართული, მოწმდება წისქვილკომბინატების ლაბორატორიების მიერ, შეესაბამება თუ არა იგი სასურსათო ხორბლის პარამეტრებს. წისქვილკომბინატების მიერ ხდება მხოლოდ სასურსათო ხორბლის შესყიდვა, რეგლამენტში გაწერილი ხარისხობრივი კლასების მიხედვით (სტანდარტის მიხედვით მე-3 და მე- 4 კლასის ხორბალი არის სასურსათო, მე-5 კლასი და შემდგომი უკვე არის არასასურსათო ანუ საფურაჟე ხორბალი)

– წისქვილების მუშაობის ტექნოლოგია და საქართველოს ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი კატეგორიულად კრძალავს წისქვილების მიერ არასასურსათო (საფურაჟე) ხორბლის გადამუშავებას ფქვილად.

– ხორბლის ანალიზის გადამოწმების შესაძლებლობა - წისქვილში გაკეთებული ანალიზის პასუხის ერთი ეგზემლიარი ეძლევა ფერმერს. თუ ფერმერს არ აყმაყოფილებს ანალიზის პასუხი, არის ფართო შესაძლებლობა, გადამოწმდეს პასუხი როგორც ჩვენი წისქვილების სხვა ლაბორატორიებში, ასევე ათობით დამოუკიდებელ ლაბორატორიაში ქვეყნის მაშტაბით (ანუ პროცესი სრულიად გამჭვირვალეა).

2. **ხორბლის ფასი** – დღევანდელი ფასი ბაზარზე 650 ლარი/ტონის ფარგლებში მერყეობს და ფორმირებულია ანალოგიური ხარისხის საქართველოში იმპორტირებული ხორბლის ხარისხიდან გამომდინარე (საბაზისოდ ითვლება მე-3 კლასის ხორბლის პარამეტრები იქედან გამომდინარე, რომ ასოციაციის კომპანიების მიერ იმპორტირებული ხორბლის უმეტესი წილი სწორედ ამ კლასისაა) .

3. **ხორბლის ჩაბარების პროცესის გამჭვირვალობა,** ფერმერების და წისქვილკომბინეტების ღია, პირდაპირი კომუნიკაცია სასურსათო ხორბლის ჩაბარების მხრივ, ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

ამიტომ, საჯაროდ ვაქვეყნებთ ასოციაციის წევრი და არაწევრი კომპანიების სიას და საკონტაქტო ტელეფონებს (სია პერიოდულად განახლდება), ასევე ვთხოვთ, ქვეყნის ფერმერულ გაერთიანებებს და ასოციაციებს, აქტიურად შეუწყონ ხელი პროცესს და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდონ მათ წევრ და არაწევრ ფერმერებს, ასევე შეძლებისაგვარად მიაწოდონ წისქვილკომბინატებს და ელევატორებს ფერმერების საკონტაქტო ინფორმაციები, რათა პროცესი და კომუნიკაცია ორივე მხრიდან აქტიური და გაჭვირვალე იყოს“.

წნორის წისქვილი – 599 90 83 91;

ოქროს თავთავი, წნორი, წნორის ელევატორი – 591 33 63 70;

დედოფლისწყაროს ელევატორი – 595 18 00 44;

შპს წნორი – 597 98 28 98;

„საქართველო გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგას“

„საქართველო გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგას. ჩვენი მოვალეობა და ვალდებულებაა, ეს ეტაპი მოთმინებით, გონიერებით გადავლახოთ, ვიყოთ განმჭვრეტნი, შევინარჩუნოთ მშვიდობა ჩვენს ქვეყანაში და ჩვენს ქვეყანას საშუალება მივცეთ განვითარდეს“, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ფრანკოფონიის ასამბლეისადმი მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა.

მისივე თქმით, იმედი აქვს, რომ საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მიიღებს.

„საპარლამენტო ასამბლეა შედგება ადამიანებისგან, ქალებისა და კაცებისგან, რომელთაც აერთიანებთ თავისუფლების, სოლიდარობის ღირებულებები. თქვენ ხართ ადამიანები, რომლებიც ამ ღირებულებების მატარებლები ხართ და ეს ღირებულებები ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ პერიოდში, რომელშიც ახლა მსოფლიო იმყოფება. საქართველო, თავის მხრივ, გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგას. ჩვენი მოვალეობა და ვალდებულებაა ეს ეტაპი მოთმინებით, გონიერებით გადავლახოთ, ვიყოთ განმჭვრეტნი, შევინარჩუნოთ მშვიდობა ჩვენს ქვეყანაში და ჩვენს ქვეყანას საშუალება მივცეთ განვითარდეს. ასევე, პასუხი გაეცეს იმ მოთხოვნებს, რომელიც აქვს ჩვენს მოსახლეობას. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლიდან, მიზნად დაისახა ევროინტეგრაცია ევროპულ ინსტიტუტებში, ამ გზას ჩვენ დიდი სიმტკიცით, ენთუზიაზმითა და დიდი სურვილით მივუყვებით. ამ ეტაპზე, ევროკომისიის გადაწყვეტილებას ველოდებით იმისთვის, რომ საქართველოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს. ვცდილობთ და ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ შევასრულოთ ის რეკომენდაციები, რომელიც ჩვენ მოგვცა ევროკომისიამ და იმედი გვაქვს, რომ მივიღებთ ამ სტატუსს, საქართველო გაერთიანდება ევროპულ ოჯახში. საქართველომ უამრავი რეფორმა განახორციელა, საქართველო იბრძვის კორუფციის წინააღმდეგ, ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ ბიუროკრატია მაქსიმალურად იყოს შემცირებული, ხელს ვუწყობთ ბიზნესის განვითარებას, ფისკალური პოლიტიკა ხდება მიმზიდველი. ამ ასამბლეებისთვის საქართველო არის ნამდვილად კარგი პარტნიორი. მინდა გითხრათ, რომ ერთად მივიღებთ მონაწილეობას მსოფლიო უსაფრთხოების გაძლიერებაში. მინდა დაგიდასტუროთ, რამდენად დიდი პატივია ჩემთვის და რამდენად დიდი სიამოვნებაა ამ ისტორიულ შეკრებაში მონაწილეობის მიღება“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ცნობისთვის, 7 ივლისს ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის 48-ე სესია ოფიციალურად გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ საქართველო ფრანკოფონიის ასამბლეას პირველად მასპინძლობს. უშუალოდ ასამბლეის საქმიანობაში კი, საქართველო 2004 წლიდან დამკვირვებლის სტატუსით ჩაერთო. 2021 წელს საქართველოს პარლამენტმა ოფიციალური წერილით მიმართა ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეას ასოცირებული წევრობის თაობაზე. სწორედ 48-ე სესიაზე მიიღებენ გადაწყვეტილებას საქართველოს ასოცირებული წევრობის თაობაზე.

ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეა წარმოადგენს ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციის საკონსულტაციო, საპარლამენტო ორგანოს. დღეისათვის მის შემადგენლობაში 91 წევრია. 56 სრულუფლებიანი, 17 ასოცირებული, ხოლო 18 დამკვირვებლის სტატუსით. ასამბლეა, დემოკრატიის განვითარების და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით მუშაობს, არის აქტიური პლატფორმა წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და დიალოგისთვის, მსოფლიოში ფრანგული ენის პოპულარიზაციაზეა ორიენტირებული.

მეუფე გრიგოლი მოსაყდრე შიოს შესაძლო მოწამვლაზე

„მოწამვლის თემა ძალიან უცნაურად გახშირდა და გეტყვით, რომ ყველაზე დიდი საწამლავი არის სიტყვა ადამიანისა, რომელიც ბოროტებით არის აღვსილი“, - ამის შესახებ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში, სადღესასწაულო ლოცვის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, პატრიარქის თანამოსაყდრის, მეუფე შიოს ირგვლივ შექმნილ სიტუაციას გამოძიება გამოიკვლევს.

„მე დღესაც არ მჯერა ამ ამბის, სანამ დადასტურებული არ იქნება კვალიფიციურად. იმიტომ, რომ ახლა ეს მონამვლის თემები ძალიან უცნაურად გახშირდა და მე გეტყვით, რომ ყველაზე დიდი საწამლავი, ჩემო ძვირფასებო, არის სიტყვა ადამიანისა, რომელიც ბოროტებით არის აღვსილი და რომელიც ვერ აკონტროლებს თავის სიტყვას, მინდა ეს იცოდეთ - ყველანაირ დარიშხანზე, ყველანაირ ციანიდზე, ყველა უბედურებაზე, თანამედროვე საწამლავებზე მძიმეა.

მე თხოვნა მაქვს, ამას ვთხოვ ჩვენს მრევლს, სულიერ შვილებს, რომ ნუ მოვწამლავთ ერთმანეთს, ნუ მოვხსნით აღვირს ამ ენას და მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს.ამ საქმეს სჭირდება გამოძიება. იმედი მაქვს, რომ თუ ამ დონეზეა ეს საკითხი და გამოძიება წარიმართება, გამოძიება გამოიკვლევს ამას,“ - განაცხადა მეუფე გრიგოლმა.

ფოთისა და ხობის ეპარქიის მმართველმა კითხვაზე, ვის შეიძლება მეუფე შიო მოეწამლა, მიტროპოლიტმა აღნიშნა: „ვინც ამით იყო დაინტერესებული“.

„ეს იქნებოდა ის, ვინც ამით იქნებოდა დაინტერესებული და მე არ ვიცი, ვერ წარმომიდგენია ასეთი ვინმე, მაგრამ ზოგადად ვის აწყობს არეულობა საქართველოში და ვის აწყობს არეულობა საქართველოს ეკლესიაში, ეს მე ნამდვილად ვიცი - ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი.

ჩემი მხრიდან სერიოზული არ არის ვისაუბროთ ვარაუდებზე, ჭორებზე და ფანტაზიებზე. საერთოდ უშნოდ არის ატეხილი ამბავი ამ თემის ირგვლივ, მე ასე მგონია. ეს არ არის სასარგებლო ეკლესიისთვის, ზოგადად ეს თემა უკვე ზიანის შემქმნელია, არა თუ ვინმესთვის სარგებლის მომტანი“, - განაცხადა მეუფე გრიგოლმა.

სახალხო დამცველი კახეთს სტუმრობდა

კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი საქართველოს სახალხო დამცველს, ლევან იოსელიანს შეხვდა.

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ, გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეები სამომავლო ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

ასევე, 7 ივლისს სახალხო დამცველი, ლევან იოსელიანი თელავში ე.წ. სამხედრო დასახლებაში იმყოფებოდა და მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს გაეცნო. სახალხო დამცველმა ასევე, თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორი და შსს-ს კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია დაათვალიერა.

საქართველოს ექვსი მოქალაქე უკანონოდ დააკავეს

რუსმა ოკუპანტებმა მეჯვრისხევის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს ექვსი მოქალაქე უკანონოდ დააკავეს, - ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ, ალექსი ბატიაშვილმა სამი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე სუს-ის 2022 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.მისი თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გააქტიურებულია ცხელი ხაზი.„მინდა, ერთი სამწუხარო ფაქტი გითხრათ, რომ დღეს დილით მოხდა კიდევ ექვსი ჩვენი თანამოქალაქის უკანონო დაკავება საოკუპაციო ძალების მიერ. გააქტიურებული ცხელი ხაზი, ჩართული არიან ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები. დადასტურებულია მათი დაკავება და ველოდებით შემდგომ მოვლენების განვითარებას. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ადამიანები რაც შეიძლება მალე დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს“, - განაცხადა ალექსი ბატიაშვილმა.

ამასთან, ანგარიშის წარდგენისას ალექსი ბატიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ 2022 წლის დასასრულ უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა საქართველოს ცხრა მოქალაქე.

ე.წ. ჯაშუშების ბრალდებით საქართველოს მოქალაქის დაკავების ფაქტი. საერთო ჯამში, 2022 წლის დასასრულ უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა საქართველოს 9 მოქალაქე“, - აღნიშნა ბატიაშვილმა.

საქართველო პირველად გახდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის საბჭოს წევრი ქვეყანა

საქართველო, 2 წლის ვადით (2023 წლის 7 ივლისიდან - 2025 წლის 30 ივნისამდე), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის **(FAO)** საბჭოს წევრად აირჩიეს. აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება **FAO**-ს 43-ე კონფერენციის ფარგლებში მიიღეს. კონფერენცია რომში, 2023 წლის 1-7 ივლისს გაიმართა.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის **(FAO)** საბჭო შედგება ორგანიზაციის წევრი 49 სახელმწიფოსგან, რომელთა არჩევაც ორ წელიწადში ერთხელ, ორგანიზაციის კონფერენციის ფარგლებში ხდება.

აღსანიშნავია, რომ საბჭო, კონფერენციის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს. საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროსთან, ასევე, ორგანიზაციის სამუშაო პროგრამასთან, ბიუჯეტთან, ადმინისტრაციულ და ფინანსურ მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

ექთნებისა და სანიტრებისთვის მინიმალური საათობრივი ანაზღაურების ახალი სქემა დაწესდება

ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით, ცვლილებების ახალი პაკეტი შემუშავდა, რომელიც სანიტრის, უმცროსი ექიმის, ექთნის დამხმარის, ექთნის თანაშემწისა და დამლაგებლის პოზიციაზე დასაქმებულებისთვის სავალდებულო მინიმალური ხელფასის დაწესებას გულისხმობს.

სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ახალი ინიციატივა კლინიკების ხელმძღვანელებს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა შესთავაზეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რეფორმა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დასაქმებულის მოტივაციისა და პროდუქტიულობის გაზრდას, ასევე გაუმჯობესებს დასაქმებულთა სამუშაო პირობებსა და სამედიცინო მომსახურების ხარისხს. ცვლილებებთან დაკავშირებით, დარგის წარმომადგენლები ერთი კვირის განმავლობაში, საკუთარი მოსაზრებასა და არგუმენტებს წარადგენენ.

„რეფორმის შედეგად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში სტაციონარული კომპონენტით ჩართული ყველა კლინიკა ვალდებული იქნება სამედიცინო პერსონალის სახელფასო ანაზღაურება, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მინიმალური ზღვრის გათვალისწინებით დაადგინოს. წინაადმდეგ შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან ჩაიხსნება.

სამედიცინო პერსონალის სავალდებულო მინიმალური საათობრივი ანაზღაურების რეფორმის პირველი ეტაპი 2023 წლის ინვარიდან შევიდა ძალაში, რომლის მიხედვითაც ექიმების მინიმალური ანაზღაურება საათში 7 ლარით (თვეში მინიმუმ 1260 ლარი), ექთნების კი საათში 4.4 ლარით (თვეში მინიმუმ 792ლარი) განისაზღვრა“,-ნათქვამია სამინისტროს ინფორმაციაში.

შავ ზღვაზე დასვენება უსაფრთხოა

რამდენად აკმაყოფილებს შავი ზღვის წყლის ხარისხი უსაფრთხოების ნორმებს?-ესაა კითხვა, რომელიც დღეს, საზღვაო კურორტთან დაკავშირებით მუდმივად ისმის.

საქართველოს შავი ზღვისპირეთის მთელ პერიმეტრზე წყლის ხარისხის გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ. მისი განცხადებით, ლაბორატორიული გამოკვლევების მიხედვით, წყლის ხარისხი ნორმის ფარგლებშია.

„შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგს 9 სადგურზე ყოველთვიურად აწარმოებს, რითაც ისაზღვრება ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები მარილიანობის ჩათვლით, ასევე, წყალში გახსნილი ჟანგბადისა და ბიოგენური ელემენტების შემცველობა. ხორციელდება მძიმე მეტალებისა და ორგანული დამაბინძურებლების კვლევა ზედაპირულ და ფსკერისპირა ფენაში.

ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად, გარემოს ეროვნული სააგენტო აუმჯობესებს მონიტორინგის სისტემებს. ამ ეტაპზე, უკვე შეძენილია თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორიული ხელსაწყოები, რომელთა საშუალებითაც მაღალი სიზუსტით განისაზღვრება სპეციფიკური დამაბინძურებლები.

გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების მიხედვით ზღვის წყლის ხარისხი მთელ პერიმეტრზე ნორმის ფარგლებშია“, - ვკითხულობთ განცხადებაში.

შავ ზღვაში წყლის ხარისხის შესახებ შეკითხვები ბოლო დღეების განმავლობაში აქტიურად ისმის.

უკრაინის ხერსონის ოლქში, მდინარე დნეპრზე მდებარე კახოვკის ჰესის კაშხალი, რომელიც რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე იყო მოქცეული, 6 ივნისს დაინგრა. უკრაინა რუსეთს ჰესის აფეთქებაში ადანაშაულებს, რუსეთი კი, პასუხისმგებლობას უკრაინას აკისრებს.

კაშხლის დანგრევამ გამოიწვია მასშტაბური წყალდიდობა და ეკოლოგიური კატასტროფა. საჭირო გახდა ათასობით ადამიანის ევაკუაცია. საცხოვრებლის გარეშე დარჩენილები აღმოჩნდნენ სხვა უმწვავესი პრობლემების, მათ შორის სუფთა წყალსა და სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის შეზღუდვის წინაშე.

სამუშაო თათბირი მერიაში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან, სტრუქტურული ერთეულების და ა(ა)იპების ხელმძღვანელებთან ტრადიციული სამუშაო შეხვედრა ჩაატარა.

თათბირზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა თანამშრომლებს ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრისა და ა(ა)იპ კომუნალური მომსახურების ცენტრის ახალი ხელმძღვანელები **ლია მაისურაძე** და **ლუხუმ ნაკვეთაური** წარუდგინა და მათ სამსახურებრივ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

აღინიშნა, რომ დედოფლისწყაროში ალოობა აქტიურ ფაზაშია და მოსავლის აღება შეუფერხებლად, აგროვადების დაცვით მიმდინარეობს .

ასევე, მერის განცხადებით, მოახლოვდა ტრადიციული სახალხო დღესასწაულის, „დედოფლისწყაროობის“, აღნიშვნის თარიღი. ამ მნიშვნელოვანი დღისთვის მზადება უკვე დაწყებულია და ამჯერადაც დედოფლისწყაროელებს და დედოფლისწყაროს სტუმრებს გამორჩეული, ლამაზი ღონისძიებები ელოდება.

მედალოსან აბიტურიენტებს მაჟორიტარმა პარლამენტში უმასპინძლა

დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებიდან ოქროს მედალოსანი კურსდამთავრებულები მისაღები გამოცდების წინ მაჟორიტარმა დეპუტატმა, დავით სონღულაშვილმა გაამხნევა და პარლამენტის შენობაში უმასპინძლა. ორი მუნიციპალიტეტიდან საუკეთესო მოსწავლეების ექსკურსია ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და გამოცდების დასრულების შემდეგ დანარჩენი მუნიციპალიტეტების კურსდამთავრებულთათვისაც გაგრძელდება.

„შირაქმა“ დედოფლისწყაროელ აბიტურიენტებს შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვა და ექსკურსიის დეტალებით დაინტერესდა.

ლაშა ლეკაშვილი *(სამრეკლოს საჯარო სკოლის კურსდამთავრებული):* „სხვათაშორის, პარლამენტი ისეთი სულაც არ ყოფილა, როგორც ამას მედიასაშუალებები აჩვენებენ. საკმაოდ ლაღი, სამუშაო გარემო დაგვხვდა. იმაზე დიდი შენობა იყო, ვიდრე მე მეგონა. დაგვათვალიერებინეს პარლამენტი, რაც ძალიან საინტერესო იყო. პირველი რიგში შეგვიყვანეს სხდომათა დარბაზში, სადაც სესიას დავესწარით. შემდეგ გვანახეს პარლამენტის თითქმის ყველა კუთხე-კუნჭული და მისი ისტორია დეტალურად გაგვაცნეს. თურმე, პარლამენტი სამ ძირითად შენობადაა დაყოფილი, რაც მე პირადად აქამდე არ ვიცოდი. ჩვენთვის საინტერესო იყო ასევე, ერთ-ერთ შენობაში მოწყობილი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პატარა მუზეუმი და იქვე იყო ყველა იმ ქართველი გმირის ისტორია, ვინც ქვეყნის განვითარებაში და გადარჩენაში წვრილი შეიტანა. ექსკურსიის დასრულების შემდეგ გაგვესაუბრა მაჟორიტარი დეპუტატი, დავით სონღულაშვილი. თითოეული ჩვენგანი პირადად გაგვიცნო და გვითხრა, რომ ბედნიერია, რადგან, რეგიონში ასეთი წარჩინებული თაობა იზრდება. პარლამენტის წევრმა აბიტურიენტებს წარმატებები გვისურვა“.

დასუფთავების სამუშაოები საბათლოში

გასულ თვეებში უხვი ნალექისა და გადაუდებელი წვიმების გამო, პრობლემები შეიქმნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში. როგორც სოფელ საბათლოში მერის წარმომადგენელმა კარენ მუსაელიანმა განაცხადა, ნიაღვარმა სოფლის სანიაღვრე არხები ქვიშით ამოავსო, შედეგად წვიმის წყალი გადმოდიოდა და პრობლემებს ქმნიდა.

„ადგილობრივები ვენახებში ნაცრის გაჩენაზე ჩივიან და ამას ისიც დაემატა, რომ ქვიშისგან გაიჭედა სანიაღვრე არხები და წყალი გზებზე და ვენახებში გადადის, თან მიაქვს შლამი და პრობლემებს ქმნის. მერია დაგვპირდა, რომ ტექნიკის მობილიზებას მოახდენს და გაიწმინდება ეს სანიაღვრე არხები,“ – აღნიშნავს სოფლის რწმუნებული.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, გრძელდება სოფლებში უხვი ნალექით გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრის სამუშაოები, რომლებსაც აქტიურად აწარმოებენ სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრების დასაქმების პროგრამის მონაწილეები. სწორედ ასეთმა ჯგუფმა, გურჯაანის სტიქიის შემდეგ, აქტიურად დაიწყო დედოფლისწყაროს სოფლების ქუჩების გაწმენდითი სამუშაოები. სოფელ სამთაწყაროს შემდეგ სოციალურად დაუცველთა სამუშაო ჯგუფმა ამჯერად საზღვრისპირა სოფელ საბათლოს მიაშურა და ადგილობრივებს პრობლემები შეუმსუბუქა. შედეგად გაიწმინდა სოფლის ცენტრალური მოედანი, გმირთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორია და სხვადასხვა სანიაღვრე არხები. როგორც ჯგუფის ხელმძღვანელმა **შალვა ხორნაულმა** გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ყველა სამუშაო შესრულდა, რისი გაკეთებაც ხელით იყო შესაძლებელი, ახლა კი ადგილობრივები მერიის ტექნიკას დაელოდებიან და დარჩენილ პრობლემებს ერთობლივი ძალებით გაუმკლავდებიან.

№1 ბრენდის სტატუსი — „შირაქს“

2023 წლის 24 ივნისს სასტუმრო ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისში Global Idea-სა და The FINANCIALის ორგანიზებით, ბიზნესის ოსკარად წოდებული ნომერ პირველი ოქროს ბრენდების რიგით მე-18 დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ოქროს ბრენდი არის მთავარი ჯილდო საქართველოში წარმატებული ბიზნეს პროექტებისთვის, რომელსაც ექსპერტები და მომხმარებლები ღიად აძლევენ ხმას. წელს 62 გამარჯვებული კომპანია გამოვლინდა.

ღონისძიებას 100-ზე მეტი უმსხვილესი ქართული და უცხოური კომპანიის მენეჯერი ესწრებოდა. ოქროს ბრენდის დაჯილდოვებაზე, რომელსაც ბიზნეს ოსკარსაც უწოდებენ, „შირაქი“ ყველის №1 მწარმოებელ ბრენდად დაასახელეს. დედოფლისწყაროში დაფუძნებული რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „შირაქი“ ბაზარზე 2005 წლიდან ოპერირებს და მისი პროდუქცია დიდ ქალაქებსა და სავაჭრო ქსელებში საკმაოდ პოპულარულია.

კითხვაზე რას ნიშნავს ეს აღიარება „შირაქისთვის“? კომპანის დამფუძნებელი ნიკოლოზ ბენიაიძე აცხადებს, რომ ეს ჯილდო არის მთელი გუნდის შრომის დაფასება და აღიარება.

„ძალიან მოხარულები ვართ, რომ „შირაქი“ ოქროს ბრენდის ჯილდოს მფლობელი გახდა. ჩვენი მთავარი პრიორიტეტი, მომხმარებლის კმაყოფილებაა, რისთვისაც მუდმივად ვცდილობთ, რომ მათ უმაღლესი ხარისხის პროდუქტი და სერვისი შევთავაზოთ. ჩვენ ყოველდღიურად ვმუშაობთ იმისათვის, რომ შევქმნათ სრული ციკლი „მინდვრიდან-სუფრამდე“, რათა მომხმარებელს მივაწოდოთ უმაღლესი ხარისხის ნედლი რძის პროდუქტები.

სწორედ ამიტომ, ის ფაქტი, რომ „შირაქი“ ნომერ პირველ ბრენდად დაასახელეს როგორც მომხარებლებმა, ასევე ექსპერტებმა, ჩვენთვის ძალიან დასაფასებელი და მოტივაციის მომცემია, „ოქროს ბრენდის“ სტატუსი კიდევ უფრო მეტს გვავალებს“- აღნიშნა ნიკოლოზ ბენიანიძემ და დასძინა, რომ ამ ჯილდომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „შირაქი“ ნამდვილად სანდოა.

„შირაქის“ საწარმოში რძის პირველადი წარმოების სტანდარტები სრულად არის დაცული! გარდა ამისა, ორი კვირის წინ ჩვენმა კომპანიამ, შესაბამისი აუდიტის ჩატარების შემდეგ, ხარისხის დამადასტურებელი geo gapis სერთიფიკატი მიიღო, რაც ძალიან მნიშვნელოვანი აღიარებაა ჩვენთვის,“ – აღნიშნა ნიკოლოზ ბენიაიძემ.

ოქროს ბრენდის დაჯილდოვების ცერემონია 2006 წლიდან ტარდება და ის საქართველოში ყველაზე პრესტიჟულ და გავლენიან ბიზნეს დაჯილდოვებად არის აღიარებული.

ოქროს ბრენდის ღირებულება შეუფასებელია. ის ზრდის მომხმარებლის ნდობას, აქცევს მას საერთაშორისო სავაჭრო ნიშნად, რომელსაც წარმატებით იყენებენ როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო ბრენდები.ოქროს ბრენდების გამოვლენაში მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-ლექტორები, მენეჯერები, ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტები, საკონსულტაციო კომპანიები, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები ეკონომიკურ საკითხებში. პარალელურად, გამოკითხვა ჩაატარდა მომხმარებლებს შორის. ნომერ პირველი ოქროს ბრენდი სწორედ მათ დაასახელეს.

ბრენდების ნომინირება მათი ცნობადობის, ხარისხის და პიარ და მარკეტინგულ საქმიანობაში გაწეული მუშაობის გათვალისწინებით მოხდა. ტრადიციულად, ყოველწლიურად დგინდება სპეციალური ნომინაციები, ჯილდოვდებიან კომპანიები და ორგანიზაციები, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ქვეყნის განვითარებაში.

ღონისძიებას 100-ზე მეტი უმსხვილესი ქართული და უცხოური ბიზნეს კომპანიის ტოპ მენეჯერი ესწრებოდა, მათ შორის სტუმრები უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან.

ინგა შიოლაშვილი

მსოფლიოში მოსავლიანობა საფრთხის წინაშეა

კლიმატის ცვლილების ნეგატიური გავლენა სოფლის მეურნეობაზე

მსოფლიო ცხელ ზაფხულს ებრძვის, რომელიც დიდი ალბათობით ბოლო წლების რეკორდს მოხსნის. გაუსაძლისი სიცხეებია თანაბრად პლანეტის ევროპულ და აზიურ ნაწილებში. ესპანეთში, იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, ჩინეთში, ტაილანდში - ჰაერის საზომი თერმომეტრი 45 გრადუს ცელსიუსს აჩვენებს და ეს მაშინ, როდესაც ზაფხულის ძირითადი ნაწილი ჯერ წინაა.

გარდა ადამიანების ჯანმრთელობის პრობლემებისა, ცხელ ზაფხულს განსაკუთრებით ცუდი შედეგი მოსავლიანობისთვისაც მოაქვს. გაუსაძლისი სიცხე ნეგატიურად აისახება ამა თუ იმ კულტურაზე, რაც საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენას ახდენს.

მაგალითად, ინდიანას შტატში ამინდი ფერმერების შეშფოთებას იწვევს. ადგილობრივი კლიმატოლოგი ბეთ ჰოლი მოუწოდებს მწარმოებლებს, თვალყური ადევნონ ნათესებს და გვალვის პროცესს.

უკვე ცნობილია, რომ შტატში სიმინდის მოსავლიანობა, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში გაუარესდა. სპეციალისტები ამ ფაქტს შემდეგნაირად აფასებენ: „ჯერ კიდევ უცნობია, იქნება თუ არა მოსავლიანობის მხრივ მნიშვნელოვანი დანაკარგები, მაგრამ თუ ეს ამინდები მომდევნო ორი კვირა კიდევ გაგრძელდება, შეშფოთების მიზეზი ნამდვილად გვექნება“, - აცხადებენ ისინი.

არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა ჩინეთის რეგიონებში, სადაც ჩაი მოჰყავთ. ადგილობრივ მოსავლიანობაზე ნეგატიურად იმოქმედა 2022 წლის სიცხემაც, რის შედეგადაც ჩაის მოსავალმა 40%-ით იკლო.

2022 წლის აგვისტოში ჩინეთში ტემპერატურა რეგულარულად აღემატებოდა 40 გრადუსს, განსაკუთრებით იანძის აუზში, ერთ-ერთ მთავარ მდინარეზე, რომელიც ჩინეთს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ კვეთს.

წელს აქ ბოლო 60 წლის განმავლობაში რეკორდულად მაღალი ტემპერატურა - 45 გრადუსი დაფიქსირდა.

იანძზე დაფიქსირდა წყლის ყველაზე დაბალი დონე ისტორიაში. როგორც წესი, ამ პროვინციაში აგვისტოდან ოქტომბრამდე შუალედში 70 დღის განმავლობაში წვიმს, თუმცა ეს არ მომხდარა შარშან. ადგილობრივები იმედოვნებენ, რომ წელს ეს არ განმეორდება.

საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა მეზობელ თურქეთში. ადგილობრივი ფერმერები შიშობენ, რომ ფორთოხლის ყვავილი, რომელიც ჩვეულებრივ აპრილში ჩნდება, წელს ერთი თვით ადრე, მარტში გამოჩნდა. თუ სხვა რეგიონებში ივნისში მწველი მზე იყო, აქ წყალდიდობების პერიოდი დაემთხვა, რაც სპეციალისტების თქმით, ასევე კლიმატის ცვალებადობაზე მიუთითებს.

ამჟამად რეგიონში საკმაოდ ცხელა და ისეთი კულტურები, როგორიცაა ხორბალი, სიმინდი და სხვა ერთწლოვანი მცენარეები, დარგვის შემდეგ საჭიროებენ დაუყოვნებლივ წყალმომარაგებას.

„ყველანაირი პირობა დგება, რომ ციტრუსის მოსავლიანობამ მინიმუმ 2%-ით იკლოს. მალატიის რეგიონში გარგარის მოსავლიანობის 22%-იანი კლება უკვე არის. მიუხედავად ზეთისხილის წარმოების ფართობების ზრდისა, ჩვენ ვხედავთ რეგიონულ დანაკარგებს 2-3%-ით სეზონური ცვალებადობის გამო“ - აცხადებს ადგილობრივი ფერმერი.

საგანგაშო მდგომარეობაა ეკვადორში. ელ-ნინიოს ფენომენის(ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება) გარდაუვალი ზემოქმედების გამო, ეკვადორის ბანანის მწარმოებელთა ასოციაცია 125 000 ჰექტარამდე ბანანის პლანტაციების შესაძლო დაკარგვას პროგნოზირებს.

მიუხედავად იმისა, რომ არ არის გარკვეული, როდის და რამდენად იმოქმედებს ელ-ნინიო ეკვადორზე, AGROBAN-ის შეფასებით, ფენომენი პიკს სექტემბრიდან დეკემბრამდე მიაღწევს.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ თუ ელ-ნინიო სრული ძალით იჩენს თავს, წყალდიდობამ შეიძლება პლანტაციები 98,000-დან 128,000 ჰექტარამდე დააზიანოს.

ეკვადორში ამჟამად დაახლოებით 500 000 ჰექტარი დამუშავებული მიწაა, რომელიც ბანანის წარმოებისთვის გამოიყენება. ყოველ კვირაში 7,5 მილიონამდე ყუთი ბანანი იწარმოება.

სპეციალისტები წარმოების 25%-იან შემცირებას ვარაუდობენ, რაც ინდუსტრიის ყოველწკვირეულ ზარალს 17 მილიონ დოლარამდე გაზრდის.

უჩვეულო კლიმატის გამო, საფრთხე ემუქრება ასევე ბრინჯის, კაკაოს, აფრიკული პალმის, სიმინდის ზოგიერთი სახეობისა და კრევეტების მწარმოებელ ადგილებს. თუმცა, მათი მტკიცებით ბანანის სექტორი ყველაზე დაუცველია.

ზაფხულის სეზონი და ვირუსები

იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, ივანე ჩხაიძე განმარტავს, რომელი ვირუსები და ინფექციებია ზაფხულში გავრცელებული.

„ეცადეთ, ბავშვები ფიზიკურად აქტიურები იყვნენ“

როგორც ივანე ჩხაიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, გაზაფხულის და ზაფხულის სეზონი სამი ვირუსის სიჭარბით ხასიათდება, კერძოდ, ეს არის რინოვირუსი, პარაგრიპის ვირუსი და ადენოვირუსი.

როგორც ივანე ჩხაიძე განმარტავს, ლარინგოტრაქეიტი ხველით და ხმის ტემბრის ცვლილებით მიმდინარეობს, ადენოვირუსმა კი შესაძლოა, ფილტვების ანთება გამოიწვიოს, ან ნაწლავთა მოქმედების გახშირება. რაც შეეხება რინოვირუსს, ის გაციებით მიმდინარე დაავადებაა.

„ზოგადად, გაზაფხულის და ზაფხულის სეზონი სამი ვირუსის სიჭარბით ხასიათდება, ეს არის რინოვირუსი, პარაგრიპის ვირუსი და ადენოვირუსი. თუ გადავხედავთ ბოლო 3 კვირის სტატისტიკას, ივნისის თვესა და ივლისის პირველ კვირას, აქ ნათლად ჩანს ამ ვირუსების სიჭარბე. თუ პროცენტულ განაწილებას შევხედავთ, 24-ე კალენდარულ კვირას, რინოვირუსის 27% გვქონდა, პარაგრიპის 22%, ყველაზე მეტი კი ადენოვირუსის შემთხვევები გვქონდა - 29 %. მთლიანობაში, ამ სამ ვირუსზე მოდის შემთხვევების თითქმის ¾. შემდეგ, 25-ე კვირაშიც ამ სამი ვირუსის სიჭარბე გვქონდა. რინოვირუსი და პარაგრიპის ვირუსი გამორჩეული იყო, პარაგრიპის უჩვეულოდ მაღალი მაჩვენებელი იყო - 34%. ეს იმას ნიშნავს, რომ შემთხვევათა 1/3 პარაგრიპით იყო გამოწვეული. პარაგრიპის უკან ლარინგოტრაქეიტი დგას, რომელიც ხველით და ხმის ტემბრის ცვლილებით მიმდინარეობს. ზოგადად, ამ ვირუსისთვის დამახასიათებელია უფრო მეტი სიჭარბე ზამთრის განმავლობაში, თუმცა წელს, პარაგრიპის მომატებული აქტიურობა დაფიქსირდა ივნისის პერიოდში. ბოლო, 26-ე კვირაშიც სამი ვირუსის სიჭარბე გვქონდა, უპირატესია ადენოვირუსი. ადენოვირუსს განასხვავებს ის, რომ მან შეიძლება ფილტვების ანთება გამოიწვიოს, კონიუნქტივიტი, ნაწლავთა მოქმედების გახშირება. ეს ამ სეზონისთვის ჩვეული ვირუსია. მინდა აღვნიშნო კორონავირუსიც. თუ ჩვენ გადავხედავთ ბოლო 2 თვის სტატისტიკას, კორონავირუსის შემთხვევები დაფიქსირდა მხოლოდ ბოლო 2 კვირის განმავლობაში, ეს არ არის ბევრი, პროცენტულად თუ შევხედავთ, ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევების 5% იყო სულ. ეს ნიშნავს, რომ კორონავირუსი მუდმივი თანამგზავრი გახდა. თუ შევაჯამებთ სეზონის თავისებურებას, კორონავირუსის შემთხვევები ერთეულია, ასევე, უფრო მეტად სჭარბობს ის ვირუსები, რომლებიც მსუბუქად მიმდინარე დაავადებებს იწვევენ, ეს არის რინოვირუსი, პარაგრიპი და ადენოვირუსი. როდესაც ვსაუბრობთ მსუბუქად მიმდინარეობაზე, ძირითადი აქცენტი გვაქვს, სჭირდება, თუ არა ბავშვებს საავადმყოფოში მოთავსება. კლინიკაში მოთავსებისთვის მთავარი ფაქტორია ფილტვების ანთება, საბედნიეროდ, ამ ვირუსებისთვის მძიმე ფილტვების ანთება არ არის დამახასიათებელი, იშვიათად გვხვდება. ზაფხულის განმავლობაში, ორი უფრო საშიში ვირუსის, რესპირაციულ-სინციტიური ვირუსის და გრიპის ერთეული შემთხვევა გვაქვს. ეს ნიშნავს, რომ მთლიანობაში, გაციების მსგავსი დაავადების მიმდინარეობა მსუბუქია. ბავშვებს ნაკლებად სჭირდებათ საავადმყოფოებში მოთავსება“, - აღნიშნა ივანე ჩხაიძემ.

ამასთან მან, ზაფხულის პერიოდში ბავშვების ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა. როგორც ექიმმა აღნიშნა, პანდემიამ ბავშვის წონის მაჩვენებელზე სერიოზული გავლენა მოახდინა, შესაბამისად, ენდოკრინოლოგებთან მიმართვიანობაც გაიზარდა, ამიტომ, ივანე ჩხაიძე მოუწოდებს მშობლებს, ბავშვები ზაფხულში ფიზიკურად მეტად აქტიურები იყვნენ.

„ძირითადი რეკომენდაციაა ის, რომ ეცადეთ, ბავშვები ფიზიკურად იყვნენ აქტიურები. მეტად დაკავდნენ სპორტული თამაშებით. სკოლის ასაკის ბავშვებში მინიმუმ ნახევარსაათიანი ფიზიკური აქტივობა აუცილებელია. მოზრდილ ასაკში 1-საათიანი ხანგრძლივობაა სასურველი, რათა ის ბალანსი შევინარჩუნოთ, რაც დარღვეული იყო პანდემიის დროს. ბავშვები ნაკლებს მოძრაობდნენ და ბევრ საკვებს იღებდნენ, ვგულისხმობ, წასახემსებელ საკვებს. ნაკლებმა მოძრაობამ განაპირობა წონის მატება. ჩვენ მართლაც ძალიან ბევრი მიმართვიანობა გვაქვს ენდოკრინოლოგებთან, ვინაიდან პანდემიამ ბავშვის წონის მაჩვენებელზე სერიოზული გავლენა მოახდინა“, - აღნიშნა ვანო ჩხაიძემ.

კოვიდსაწოლებზე გამოყოფილი თანხა მიითვისეს

პროკურორ ლაშა ფანჩულიძის განცხადებით, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ ყოფილმა ფინანსურმა დირექტორმა, ამავე კლინიკის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის ყოფილმა თანამშრომელმა და ინდივიდუალურმა მეწარმემ 2020 წელს კოვიდინფიცირებულთა საწოლფონდის გასაზრდელად გამოყოფილი თანხის ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტები გააყალბეს და თანხის ნაწილი მიითვისეს.

როგორც პროკურორმა სასამართლოს დაწყებამდე ჟურნალისტებთან აღნიშნა, ბრალდების მხარემ სამ ბრალდებულთან დაკავშირებით აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი ფორმა, პატიმრობა მოითხოვა.

„როგორც მოგეხსენებათ, 2020 წლის დეკემბერში „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ რემონტი მიმდინარეობდა. ეს იმისთვის, რომ კოვიდინფიცირებულთა საწოლფონდი გაზრდილიყო. საქმის ბრალდებულებმა ყალბი დოკუმენტები შეადგინეს, კერძოდ, მიღებისა და ჩაბარების ყალბი აქტები, ინსპექტირების დასკვნა. ამის საფუძველზე მათ აჩვენეს, თითქოს, სამმილიონი ლარის სამუშაოები შეასრულეს. სინამდვილეში, დოკუმენტები გააყალბეს და 580 000 ლარით მეტი დანახარჯი აჩვენეს. 580 ათასი ლარიდან 170 000 ლარს დაეუფლნენ.

ამის საფუძველზე წარედგინათ ბრალი და აღკვეთის ღონისძიების სახით, ბრალდების მხარემ სამ პირთან მიმართებით პატიმრობა მოითხოვა. ეს სამი ადამიანი ფინანსური მენეჯერი, ინფრასტრუქტურის სამმართველოს თანამშრომელი და ინდმეწარმე არიან“, - განაცხადა პროკურორმა.

ექთნის გარდაცვალებაში ექიმი დამნაშავედ ცნეს

ახალციხის კლინიკა „იმედის“ ექთნის, მეგი ბაქრაძის გარდაცვალების საქმეზე ამავე კლინიკის ექიმი, ვიოლეტა ინასარიძე საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო - ის სხდომათა დარბაზშივე დააკავეს

ბრალდებული ექიმი, ვიოლეტა ინასარიძე და კიდევ ორი პირი - თეა გზირიშვილი და ბექა ლიპარტელიანი თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

ვიოლეტა ინასარიძე და თეა გზირიშვილი სასამართლოს სხდომათა დარბაზშივე აიყვანეს. რაც შეეხება ბექა ლიპარტელიანს, ის განაჩენის გამოცხადებას არ დასწრებია.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, თეა გზირიშვილს 2 წელი და 6 თვე, ვიოლეტა ინასარიძესა და ბექა ლიპარტელიანს კი, 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სამივე მათგანს აღკვეთის ღონისძიების სახით 3000-3000-ლარიანი გირაო ჰქონდათ შეფარდებული.

ცნობისთვის, მეგი ბაქრაძის გარდაცვალების საქმეზე „ახალციხის კლინიკა იმედის“ 2 ექიმსა და ერთ ექთანს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-2 ნაწილით ჰქონდათ წარდგენილი, რაც მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლას გულისხმობს, რაც გამოიხატა გამოძიების დროს გამოსაკითხი პირის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდებით, ჩადენილი სხვა პირადი მოტივით.

წარდგენილი ბრალდება 2-დან 6-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ანსამბლი „ხორნაბუჯი“ ახალი ძალებით

დედოფლისწყაროს კულტურის სახლში ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „ხორნაბუჯი“ მორიგი საანგარიშო კონცერტი გაიმართა (ხელმძღვანელი ლექსო გრემელაშვილი). ანსამბლი ახალი, მრავალფეროვანი რეპერტუარითა და შემადგენლობით წარსდგა მაყურებლის წინაშე. ახალი თაობის „ხორაბუჯი“ ახალი ძალით და გაორმაგებული ენერგიით შეუდგა მუშაობას.

ღონისძიება ანსამბლის ხელმძღვანელს მიჰყავდა. ლექსო გრემელაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ანსამბლს რვა წლის წინ შემოუერთდა და მისი მუშაობის პირველი ნაბიჯები გაიხსენა, ანსამბლის ყოფილ წევრებს კი ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა.

ლექსო გრემელაშვილი ***(ლოტბარი):*** „მერვე წელია, ამ ანსამბლთან ვმუშაობ. მქონდა ბედნიერება, უფროსი ასაკის მომღერლებთან ერთად დამეწყო ეს საქმე. საშუალება მომეცა მათთან ერთად მემღერა და ბევრი რამ მესწავლა. ყველაფერს თავისი დრო აქვს. დროის შეჩერება ადამიანს არ შეუძლია, ამიტომაც ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. წინა თაობის მომღერლებმა ძალიან რთულ დროში შემოინახეს ტრადიციები. მათი ღვაწლი უმნიშვნელოვანესია. 90-იანი წლების გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში რთული პერიოდი იყო, ამ ქარცეცხლში გამოიარეს და დღემდე მოიტანეს ქართული სიმღერა, ეს ანსამბლი და ჩვენ გადმოგვცეს. კარგია, როცა საქმეს იწყებ და ღირსეული საქმის გამგრძელებელი ხდები. ამდენად, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დიდი მადლობა ვუთხრათ თითოეულ მათგანს. დიდი მადლობა ამ დიდი საქმისთვის, რაც წლების მანძილზე აკეთეს“.

ღონისძიებას საპატიო სტუმრების სტატუსით სტუმრობდნენ ანსამბლის ყოფილი წევრებიც – ვასილ სვიმონიშვილმა და ვასილ მაჭარაშვილმა ანსამბლს გზა დაულოცეს, საკუთარ ბიოგრაფიაზე ისაუბრეს და წარმატებები უსურვეს ახალ თაობას.

ვასილ სვიმონიშვილი: „კარგი სიტყვები ითქვა ამ სცენიდან. დიდი მნიშვნელობა აქვს, ანსამბლში ვინ დაგხვდება და ვისთან ერთად მოგიწევს სიმღერა. კახელი და ქიზიყელი კაცისთვის სიმღერა უცხო არ არის, რა თქმა უნდა, არც ჩემთვის იყო უცხო. ისეთ პერიოდში მიმუშავია, როცა არც შუქი იყო, არც გაზი და არც ხელფასი, თუ დაფასება. მაგრამ მაინც დიდი ენთუზიაზმით და საქმის სიყვარულით ვმღეროდით. ამ ყველაფერს 42 წელი ვემსახურე, მინდა თუ არა, ცხოვრება თავის წესებს გვკარნახობს და მომიწია ანსამბლის დატოვება. მინდა, წარმატებები ვუსურვო ანსამბლს. დღეს ძალიან პერსპექტიული ახალი თაობა დავინახე ამ ანსამბლში, დიდი მომავალი აქვთ, დიდ საქმეს უდგანან სათავეში და იმედია, წლების წინ დაწყებული ტრადიცია ღირსეულად გაგრძელდება და უფრო წარმატებული იქნება. იყო დრო, როცა სცენაზე უფრო მეტნი ვიდექით, ვიდრე დარბაზში მაყურებელი და იმედი მაქვს, ეს ყველაფერი გამოსწორდება“.

ვასილ მაჭარაშვილი: „1970 წლიდან ამ სცენაზე ვდგავარ, 52 წელი ანსამბლში გავატარე. აქ რომ მოვედი,ვახტანგ ლეკიაშვილი და ირაკლი კიკილაშვილი დამხვდნენ. შემდეგ ვასიკო ტუხაშვილი შემოგვიერთდა და ასე, ნელ-ნელა დაიწყო პირველ-მეორე ხმაში სიმღერა... ხელფასები არ გვქონდა, მაგრამ მაინც გვემღერებოდა. ხშირად მოდიოდნენ მსურველები და გვეუბნებოდნენ, რესტორანს ვიკისრებთ, ოღონდ თქვენს გვერდში დაგვაყენეთო. ყველას სხვა სამსახურები გვქონდა და მაინც ვიკრიბებოდით, ვმღეროდით. წარმატებები მინდა ვუსურვო ანსამბლ „ხორნაბუჯს“ და მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის.“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ თამაზაშვილმა** მადლობა გადაუხადა ანსამბლის წევრებს და მათ ხელმძღვანელს ლექსო გრემელაშვილს გაწეული შრომისთვის და ულამაზესი საღამოსათვის. მისი განმარტებით, ამჯერად, უფროსი თაობის მომღერლების სათანადო გაცილება კულტურის ცენტრში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესის გამო ვერ მოხერხდა. ამდენად, თამაზაშვილი აღნიშნავს, რომ სექტემბრიდან ეცდებიან ყოფილი წევრების დაფასებაზე იზრუნონ და მადლობა მრავალწლიანი შრომისთვის კიდევ ერთხელ გადაუხადონ.

ანსამბლი „ხორნაბუჯი“ კი საზაფხულო არდადეგების შემდეგ სექტემბრიდან განაახლებს მუშაობას და კვლავაც ქართული ტრადიციების შენარჩუნებასა და მომავალი თაობებისთვის გადაცემაზე იზრუნებს.

ტყის ბუნებრივი აღდგენის ხელშეწყობის პროექტი დედოფლისწყაროში

ეროვნული სატყეო სააგენტო, კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელისა (CENN) და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) თანადაფინანსებით დედოფლისწყაროში ტყის აღდგენის პროექტს განახორციელებს. სამიზნე ტერიტორიად შერჩეულია 93 ჰა დეგრადირებული მუხნარი კორომი, სადაც ტყის ბუნებრივი აღდგენის ხელშეწყობის ღონისძიებები ჩატარდება.

როგორც ეროვნულ სატყეო სააგენტოში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, პროექტის ფარგლებში, ეროვნულ სატყეო სააგენტოს ტყის აღდგენის ღონისძიებებისთვის საჭირო 30-მდე ერთეული აღჭურვილობა და ტექნიკა გადაეცა. ასევე, დაფინანსდნენ ადგილობრივი თემის წარმომადგენლები, რომლებიც სააგენტოს მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით, ტყის ბუნებრივი აღდგენის ღონისძიებებში ჩაერთვებიან.

„ტყის აღდგენის ღონისძიებების მასშტაბების ზრდა სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და დღეისათვის ამის საშუალებას ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, მოხალისეობრივი პლატფორმა „ტყის მეგობარიც“ გვაძლევს. დედოფლისწყაროში 93 ჰექტარზე მიმდინარე ტყის აღდგენის პროექტი ასეთი თანამშრომლობის კარგი მაგალითია. მნიშვნელოვანია, რომ სამუშაოებზე ადგილობრივი მოსახლეობა იქნება დასაქმებული“ – აღნიშნა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა, კახა ცერცვაძემ.

სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტში „შირაქს“ განუცხადეს, რომ მათთვის პრიორიტეტულია ადგილობრივი კადრების დასაქმება, ეს კი უკეთეს შედეგს იძლევა. სპეციალისტები ტერიტორიას რამდენიმე წლის განმავლობაში დააკვირდებიან.

გიორგი ხაბეიშვილი ***(ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის უფროსი):*** „საგაზაფხულო სამუშაოები უკვე დავასრულეთ, 93 ჰექტარზე ტერიტორია შეიღობა, რადგან მანამდე ის საქონლის ძოვებისგან ძალიან დეგრადირებული იყო. ტერიტორია გაიწმინდა ეკალ-ბარდისაგან, რათა შემდგომში ახალი ბუნებრივი სახეობები წამოვიდეს. გატარდა გუთანი და მიწა გაფხვიერდა, რომ ამ ტერიტორიისთვის დამახასიათებელი მცენარეების ზრდას შევუწყოთ ხელი. ცხადია, ადგილობრივი მოსახლეობა დავასაქმეთ, რადგან სამუშაოების განსახორციელებლად ადამიანებს თბილისიდან არ ვატარებდით. გარდა ამისა, ჩვენ ადგილობრივების ჩართულობის გასაზრდელად ორი მიზეზი გვაქვს: ერთი ის, რომ დასაქმებას შევუწყობთ ხელს, პარალელურად კი საკუთრების განცდას გავზრდით. როდესაც აღდგენის პროცესში ადგილობრივი მკვიდრია ჩართული, მას მეტი ინტერესი აქვს სამუშაო ხარისხიანად შეასრულოს და ექნება განცდა, რომ რასაც აკეთებს, ეს მათია და მათი შთამომავლობისთვის კეთდება. ამჯერად, ათამდე ადგილობრივი მუშაობს. სხვა რეგიონებშიც, ყველა შემთხვევაში ადგილობრივებს ვასაქმებთ. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ბუნებრივი გზით აღდგენილი ტყეები ბევრად კარგ შედეგს იძლევა და გაცილებით უფრო მდგრადია, ვიდრე ხელოვნურად. სხვა პროექტებიც გვაქვს დედოფლისწყაროში, მაგრამ ამ პროექტს რაც შეეხება, საშემოდგომო სამუშაოები კიდევ გვაქვს დაგეგმილი და იგივე პროცედურებს გავაგრძელებთ შემოდგომაზეც. შემდგომში რამდენიმე წლის განმავლობაში დავაკვირდებით ამ 93 ჰექტრიან მონაკვეთს და შევაფასებთ, რა შედეგი მივიღეთ. სამუშაო ტერიტორია ლაგოდეხი-სიღნაღი-დედოფლისწყაროს სატყეო უბანშია გაერთიანებული.“

„ეკოსისტემების აღდგენის ხელშეწყობა გვალვის რისკის შემცირებისა და მედეგობის ზრდისათვის“ – პროექტს გლობალურ დონეზე IUCN-ი, ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

გვერდის მასალები მოამზადა

ილია მარტყოფლიშვილმა

რა პერსპექტივა აქვს უკრაინას?

„ნატოს სამიტის წინ, რომელიც ლიეტუვის დედაქალაქ ვილნიუსში 11-12 ივლისს უნდა გაიმართოს, დაძაბულობა იზრდება: შესთავაზებს თუ არა ალიანსი უკრაინას დიდი ხნის წინ გაცხადებული დაპირების რეალიზების გზას? ამ მხრივ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ექსპერტები ვაშინგტონის გადაწყვეტილებას ელოდებიან“, - ნათქვამია გერმანული სამაუწყებლო კომპანიის - „დოიჩე ველეს“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით - „ნატოს სამიტი ვილნიუსში: რას დაჰპირდებიან უკრაინას და რას - არა“.

„ათი წლის წინათ, 2013 წელს, ვილნიუსში ჩატარებული ევროპის „აღმოსავლური პარტნიორობის“ სამიტი უკრაინის ისტორიაში შევიდა, როგორც ევროპული ინტეგრაციისაკენ გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მაგრამ, იმავე 2013 წელს უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ვიქტორ იანუკოვიჩმა, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას ხელი არ მოაწერა, რის შემდეგადაც ქვეყანაში პროტესტი დაიწყო, „ევრომაიდნის“ სახელწოდებით. საბოლოოდ, კიევში ხელისუფლება შეიცვალა და უკრაინაც ევროკავშირს დაუახლოვდა: ამჟამად ქვეყანას ევროკავშირში წევრობის კანდიდატის სტატუსი აქვს.

რაც შეეხება ნატოში გაწევრებას, უკრაინა ვარაუდობს, რომ ამ საკითხშიც იმავე ვილნიუსის სამიტზე გარღვევას მიაღწევს. მაგრამ შევა თუ არა სინამდვილეში ლიეტუვას დედაქალაქი უკრაინის ისტორიაში იმ ქალაქად, რომელიც ბუქარესტის სამიტზე დაპირებული მიზნის შესრულების გზაზე ათვლის წერტილი გახდება?

არადა, უკრაინა სწორედ ამის მიღწევას ცდილობს. პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის არაერთხელ უთქვამს, რომ ვილნიუსის სამიტისაგან კონკრეტულ ნაბიჯებს ელოდება - თუნდაც ისეთს, რომელიც ნატოში გაწევრების პროცესის დაწყებას და მის დროებით ჩარჩოებს ნიშნავს. ფორმალური განაცხადი უკრაინამ ჯერ კიდევ 2022 წლის სექტემბერში წარადგინა. ამასთან, მართალია, კიევში ნატოს წევრობას უსაფრთხოების ყველაზე საიმედო გარანტიად თვლიან, მაგრამ როგორც პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ აღიარა, იგი რუსეთთან ომის დასრულებამდე ალიანსში გაწევრებას არ ელოდება.

არის თუ არა უკრაინისთვის აუცილებელი „მაპის“ გავლა?

სამიტამდე რამდენიმე დღე რჩება, მაგრამ უკრაინის საკითხში ჯერჯერობით საერთო აზრი არ არსებობს. 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე უკრაინა წევრობას ითხოვდა, მაგრამ კიევმა **MAP**-იც კი ვერ მიიღო - უკრაინის წინააღმდეგ საფრანგეთი და გერმანია გამოვიდნენ.

რაში გამოიხატება **MAP**-ის მნიშვნელობა? მარტივად თუ ვიტყვით, **MAP**-ის მთავარი მიზანია, მოამზადოს ნატოში გაერთიანების მსურველი სახელმწიფო ალიანსის წევრობისათვის. ეს არის სტანდარტული პროცედურა, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ბლოკის წევრობის მსურველმა მრავალმა ქვეყანამ გაიარა, თუმცა არა ყველამ - მაგალითად, ფინეთი ნატოს წევრი 2023 წელს **MAP**-ის გავლის გარეშე გახდა, იმიტომ, რომ ამ ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, ეკონომიკა და შეიარაღებული ძალები სრულად აკმაყოფილებდნენ წევრობის კრიტერიუმებს **MAP**-ის გავლის გარეშეც.

გამოყენებული იქნება თუ არა იგივე მექანიზმი უკრაინის მიმართ, ეს საკითხი ჯერ ღიად რჩება. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, უკრაინისთვის MAP-ის გავლის აუცილებლობა არ დგას, რადგან მისი არმია ევროპაში უძლიერესი გახდა, მომზადებულია ნატოს სტანდარტებით, შეიარაღებულია ნატოს ქვეყნების ტექნიკით და საბრძოლო აღჭურვილობით.

„თუ ნატოში ისეთ ქვეყანას არ მიიწვევენ, როგორიც უკრაინაა, ეს პარადოქსი იქნება“, - აღნიშნა ლიეტუვის თავდაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გიდრიმას ეგლინსკასმა, თუმცა, მან იმასაც ხაზი გაუსვა, რომ ნატოში მიღების გადაწყვეტილება ერთხმად, კონსენსუსის პრინციპის დაცვით უნდა იქნას მიღებული. არადა, ზოგიერთი ქვეყნის პოზიცია კიევის საწინააღმდეგოდ არის მიმართული. ასევე, ღიად რჩება კითხვა - რამდენად შეიძლება ნატოს წევრი გახდეს ის ქვეყანა, რომლის ნაწილი რუსეთს აქვს ოკუპირებული?

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები მხარს უჭერენ იმ ვარიანტს, რომ ვილნიუსის სამიტზე უკრაინის ნატოში გაწევრების კონკრეტული მექანიზმი უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს. „რუსეთის შეკავების პოლიტიკა, რომელსაც ნატო ატარებდა, ორჯერ ჩაიფუშა - 2014 და 2022 წლებში. ესე იგი, ასეთი კურსი არ მუშაობს. ამიტომაც უკრაინას რაღაც ახალი და უფრო ფართო გარანტიები სჭირდება“, - ამბობს გიდრიმას ეგლინსკასი, - „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ვერ ხედავენ რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობის დამყარების შესაძლებლობას, თუ უკრაინა ნატოს სრულუფლებიანი წევრი არ გახდება“.

მაგრამ გერმანიისა და ნატოს წევრი ზოგიერთი ევროპული ქვეყნის პოზიცია კვლავ გადაულახავი რჩება: ბერლინი თავშეკავებულია. რაც შეეხება ამერიკას, ვაშინგტონი მიანიშნებს, რომ მომხრეა, კიევისათვის დაჩქარებული და გამარტივებული პროცედურა იქნას გამოყენებული, თუმცა თეთრი სახლი, საბოლოო ჯამში, მაინც იქითკენ იხრება, რომ რისკები და საფრთხეები კარგად იქნას აწონილ-დაწონილი, რათა რუსეთის აგრესიის ესკალაცია არ მოხდეს. უკრაინის ომი ხომ სწორედ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებამ გამოიწვია.

მოსალოდნელია, რომ ვილნიუსის სამიტის ერთ-ერთი კონკრეტული შედეგი იქნება 1997 წელს შექმნილი „ნატო-უკრაინის კომისიის“ სტატუსის გაზრდა საბჭოს დონემდე. ზოგიერთი დასავლური მედიასაშუალება ამას „უკრაინისათვის საჩუქრად“ თვლის, რადგანაც ალიანსში მისი ფორმალური მიწვევა ჯერჯერობით შეუძლებელია. გიდრიმას ეგლინსკასის აზრით, კომისიის სტატუსის გაზრდა - საბჭოდ გადაქცევა შეიძლება კიევისათვის „დამამშვიდებელი პრიზი“ გახდეს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, „ეს საკმარისი არ იქნება“.

ასევე, მოსალოდნელია, რომ სამიტზე შეიძლება გაჟღერდეს მოწოდება უკრაინისათვის იარაღით უზრუნველყოფის გასაგრძელებლად. და ბოლოს, შეიძლება იმსჯელონ იმ ორმხრივი შეთანხმებების სავარაუდო დადებაზე, რომელიც უსაფრთხოების გარანტიებს ითვალისწინებს. ანუ ეს ნიშნავს, რომ ყოველი ხელისმომწერი მხარე თვითონ განსაზღვრავს, თუ რით შეძლებს უკრაინისათვის დახმარების გაწევას. ამ კონტექსტში სამიტის წინ მსჯელობდნენ „ისრაელურ მოდელზე“ - ისრაელის მიმართ აშშ-ის პოლიტიკის მსგავს კურსზე, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერის ვალდებულების პერიოდულ განახლებას. ამასთან, ჯერჯერობით გაურკვეველია, რა იქნება ეს - დროებითი მოდელი განევრებამდე თუ ალტერნატივა გაწევრების ნაცვლად.

არის თუ არა ნატოში განხეთქილების საფრთხე?

გიდრიმას ეგლინსკასი არ გამორიცხავს ასეთ ვარიანტს, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ ასეთ შემთხვევაში ჯარის გაგზავნა ნატოს მიერ გადადგმული ნაბიჯი კი არ იქნება, არამედ - მისი ცალკეული წევრების ქმედება. ამავე დროს, ეს იქნება იმის ნიშანი, რომ ალიანსში განხეთქილება დაფიქსირდა. ვალერი ჩალის აზრით, ასეთი რისკი მართლაც არსებობს: „ნატოს წევრებმა გადაწყვეტილება ერთად უნდა მიიღონ - ეს იქნება საუკეთესო ვარიანტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინა შეეცდება, თვითონ შექმნას რეგიონული კავშირი“.

უკრაინელი დიპლომატი ელოდება, რომ ვილნიუსის სამიტის შედეგი, საბოლოო ჯამში, მაინც შუალედური გადაწყვეტილება იქნება, ხოლო, უკრაინის რეალური მიწვევა ნატოში სამომავლოდ, ალიანსის საიუბილეო, 75-ე სამიტზე იქნება შესაძლებელი, ვაშინგტონში, 2024 წელს. თუმცა, ვალერი ჩალის თქმით, ეს ოპტიმისტური სცენარია - „მანამდე, ალბათ, შეიძლება ომიც დასრულდეს“.

დედოფლისწყაროელთა ნიჭის ზეიმი პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

დედოფლისწყაროელთა ნიჭის ზეიმი შედგა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით გაიმართა ახალგაზრდა მხატვრის **ნინო ჭაბაშვილის** პირველი პერსონალური გამოფენა, (სპონსორი „ნასრაშვილების საოჯახო მეღვინეობა“ გახლდათ).

საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო 50 გრაფიკული და ფერწერული ნამუშევარი პოპ-არტის სტილში. გამოფენას ფონად გასდევდა მშვენიერი მუსიკა და საოპერო არიები. აღსანიშნავია, რომ საფორტეპიანო ნომრებს ასრულებდა ნინოს დედა, ნიჭიერი მუსიკოსი და პედაგოგი **თამარ ნადირაშვილი**.

ზურაბ ანჯაფარიძის პრემიის ლაურეატმა ვიქტორია ჩაპლინ სკაიამ აღნიშნა, რომ მხარი უნდა დავუჭიროთ ახალგაზრდა ხელოვნებს, საამაყოა როცა ასეთი ნიჭიერი თაობა მოდის...

გამოფენას სტუმრობდა არაერთი ცნობილი ადამიანი. გოგი ალექსი-მესხიშვილი, მაყვალა გონაშვილი, მარინა მაჭავარიანი-ანჯაფარიძისა, თამაზ კობაიძე, მანუჩარ მაჩაიძე და სხვები.

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ცერცვაძემ ნინოს გამორჩეულად ნიჭიერი და დიდი პოტენციალის მქონე მხატვარი უწოდა.

რევაზ ადამიამ, პარიზის საერთაშორისო ხელოვნების მუდმივმა წევრმა აღნიშნა, რომ უდიდეს პატივს სცემს ახალგაზრდა ნიჭიერ ხელოვნებს: „ნინო ჭაბაშვილი პროფესიონალი მხატვარია, ამის ნათელი მაგალითია ილუსტრაციები და გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც აქ ვნახეთ გამოფენილი“.

დავით სონღულაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი, დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ესწრებოდა ღონისძიებას, რომელმაც განსაკუთრებული სითბოთი ისაუბრა მისი სამაჟორიტარო ოლქიდან ჩამოსულ წარმატებულ ადამიანებზე: „ჩემთვის უაღესად სასიამოვნოა დედოფლისწყაროელი დედაშვილის, თამილა ნადირაშვილის და ნინო ჭაბაშვილის, ამ ორი ხელოვანის შემოქმედებით საღამოზე დასწრება, ნინოს ნახატებმა დამთვალიერებელში დიდი მოწონება დაიმსახურა“.

გოჩა გოგილაშვილი, PSP-ს *დამფუძნებელიც* ესწრებოდა ახალგაზრდა მხატვრის გამოფენას. მანაც აღნიშნა, რომ დედა-შვილის ეს სინთეზი ,მუსიკისა და ფერწერის ერთმანეთში შერწყმა, განსაკუთრებულად ალამაზებდა ამ საღამოს.

ლაშა კუხალაშვილი, *ახალგაზრდა მხატვარი:* „გულდასმით დავათვალიერე გამოფენა და მინდა აღვნიშნო , რომ სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, მადლობა ნინოს რომ ამ ისტორიულ დარბაზში ფერთა მეჯლისი მოაწყო“.

მარინა მაჭავარიანი–ანჯაფარიძისა, „დედა-შვილის ბენეფისმა დიდი სიამოვნება მომანიჭა, ნინოს გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები თავის სიტყვას იტყვის ქართული მხატვრობის ისტორიაში“.

მაყვალა გონაშვილმა აღნიშნა, რომ „დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია მუდამ გამორჩეული საღამოებით გვანებივრებს, რომლის სულის ჩამდგმელი გახლავთ ნანა ჭიჭინაძე. დღევანდელი დღე იყო მუსიკისა და მხატვრობის დიდი ზეიმი“.

მარიკა პოპიაშვილი

ლევან ალავერდაშვილის ხსოვნის საღამო

2 ივლისს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ლევან ალავერდაშვილის ხსოვნის საღამო გაიმართა. ღონისძიებას პოეტის შვილებიც ესწრებოდნენ. გამოიფინა ოჯახში შემონახული ხელნაწერები, რომელიც მუზეუმს გადაეცა. მანამდე, დედოფლისწყაროს საკათედრო ტაძარში, დეკანოზმა ნიკოლოზ ლომსაძემ პანაშვიდი გადაიხადა. ლევან ალავერდაშვილს 52 წელი შეუსრულდებოდა. 28 ივნისს კი პოეტის გარდაცვალებიდან 40 დღე გავიდა.

იყო ლექსები, მოგონებები, სევდა, ცრემლები, პოეტის სახასიათო შტრიხების ხაზგასმა. პოეტის შვილმა ვალერი ალავერდაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას მადლობა მოუხადა საღამოს ჩატარებისთვის და მამამისის შემოქმედებიდან მისთვის საყვარელი ლექსი წაიკითხა.

დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე: „1989 წელს, როცა პატრიარქი დედოფლისწყაროში იმყოფებოდა და სამრეკლოში ტაძართან სახალხო ნათლობა მოეწყო, ლევანი მას ეხმარებოდა. ცნობილია, რომ ამავე დღეს ლევანს და მის მეუღლეს ჯვარი უწმინდესმა დასწერა. შემდეგ პატრიარქმა მას საჩუქარიც გამოუგზავნა. მას მერე მჭიდრო კავშირი ჰქონდა ეკლესიასთან. ასევე მინდა გავიხსენო ის დრო, როცა ტიბაანში მდებარე სტეფანე ხირსელის ტაძარში მუსიკალური სკოლა მოქმედებდა და შეუფერებელი ვითარება იყო. შემდეგ როცა სკოლა გამოვიდა, საჭირო იყო ეკლესიის ამოქმედებამდე ამ ყველაფრის დაცვა. ლევანს ვთხოვეთ და სიამოვნებით დაგვთანხმდა. რამდენიმე თვის განმავლობაში იქ იყო და უფრო მეტიც, ტიპიკონით ცხოვრობდა, სასულიერო პირების მსგავსად. ასუფთავებდა, უვლიდა ყველაფერს. ასე რომ, დიდი ღვაწლი აქვს ამ ტაძრის გახსნის დროს შეტანილი. სამწუხაროდ, როგორც ხელოვანების ცხოვრებაში ხდება, ახლაც ასე მოხდა. ნაადრევად დაგვტოვა და მე მის დაკრძალვაზე დავინახე თანამედროვე მწერლების და მწერალთა კავშირიდან ჩამოსული სტუმრების დიდი სიყვარული, რითაც მათ ლევანი უკანასკნელ გზაზე გააცილეს“.

გიორგი ნატროშვილი: „ხშირად კარგავდა ლექსებს და წიგნებს. არცერთი თავისი კრებული არ გააჩნდა, თუ რამეს მოიპოვებდა, წაიღებდა სხვას აჩუქებდა და აღარ ჰქონდა ხოლმე. რამდენჯერმე ჩემთვის ნაჩუქარი მისივე კრებული ისევ მეთხოვა და ტრადიციულად დაკარგა.

ვარდზე დაწერილ ლექსს საინტერესო ისტორია აქვს, რომელიც ბევრმა იცის. ვალენტინობას ვარდების შეძენა უნდოდა, მაგრამ ფული არ ჰქონდა, გამყიდველი კი არ აძლევდა. სიგარეტის კოლოფი ამოუღია, შიდა მხარეზე დაუწერია ეს ლექსი და სანაცვლოდ სამი ვარდი მიუციათ, რომლებიც შემდგომ ქალბატონს მიართვა.

„ვარდი მომეცით, ნამის ქარვებით,
დაე, შემერგოს თუნდაც არამად...
ისე მაჩუქეთ, ნუ დამზარდებით,
პოეტი ვარ და ფული არა მაქ!
ლექსზე გაგიცვლით, არ შემრჩა გროში,
ვარდი ხომ ტრფობის გზა და ხიდია!
ნუ დამაჯერებთ, ჩემს სამშობლოში
რომ სიყვარულიც გასაყიდია!“



გარდა იმისა, რომ ლევანი საოცარ ლექსებს წერდა, მას აქვს ძალიან ლამაზი კალიგრაფია. ამიტომაც გაჩნდა მისი ხელნაწერების გამოცემის იდეა. მართლა საოცარი ხელნაწერები აქვს და ვისაც უნახავს, დამეთანხმება. თითქმის ყველა ლექსი აქვს გადაწერილი და გადათეთრებული, ბევრი ლექსი შეიძლება ოჯახს აღარ ჰქონდეს. ჩემს სახლშიც ხშირად მოდიოდა და იყო შემთხვევები, როცა ჩემს რვეულში წერდა ხოლმე. ამდენად, დაახლოებით ათამდე ლექსი ჩემთან ინახება. ამ ყველაფერს თავმოყრა, დალაგება, რედაქტირება და გამოცემა უნდა. დიდი სურვილი მაქვს ეს განვახორციელო, როგორც კი ამის შესაძლებლობა იქნება“.

დალი ბაღაშვილი: „რამდენიმე დღის წინ ვიმყოფებოდით სოფელ სამრეკლოში, პოეტის საცხოვრებელ სახლში. მისი ხელნაწერები და ფოტოსურათები წამოვიღეთ დასამუშავებლად. აღმოჩნდა, რომ ოჯახს ძალიან ბევრი ექსპრომტად დაწერილი ლექსი აქვს შემონახული. ის ასევე წერდა, რომ სურდა მისი მომავალი წიგნის სათაური ყოფილიყო: „უბრალოდ პოეტად ვიშობე“, ამიტომ თუკი მოხერხდება ერთობლივი ძალებით მისი ახალი წიგნის გამოცემა, კარგი იქნება თუ თეს სახელწოდება ექნება“.

„დამდება, ისევ მარტო ვარ,
ქარს მიაქ კალთები კარავის...
რატომღაც არავის ვახსოვარ,
ვუყვარვარ, რატომღაც არავის.
ყმუილით გაიარს მთა-გორებს
ცხოველი ავი და მზარავი,
ვედრებას არავინ აგონებს,
ძახილზე არ მიდის არავინ...
ძარღვებს რომ სისხლისგან დასცლიან,
ვშიშობდე ნეტავი როდემდე,
არც ადრე მოვსულვარ, არც გვიან,
უბრალოდ, პოეტად ვიშობე...
და გულსაც თავისი მიეზღო,
ვით ქარით კიდეებს კარავის...
მიშველე, უფალო იესო!
შენს მეტი ვუყვარვარ არავის“...

ცარო მარტიაშვილი: „როცა ლევანს ვხედავდი, ტიციან ტაბიძის ცნობილი ლექსი მახსენდებოდა: „იყო საწყალი ერთი ოსტატი, ასეთ ოსტატებს ზრდის საქართველო, იკურთხოს მადლით მათი მარჯვენა, იმათი იყოს ეს სადღეგრძელო.“ ტიციანმა ეს ფიროსმანს მიუძღვნა, მაგრამ ყოველთვის გონებაში ლევანი ამომიტივტივდება ხოლმე. ალბათ იმიტომ, რომ ნიკალა და ლევანი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. მასაც მერე, მომავალში დააფასებენ და დიდი პოეტი გვეყოლება. მისი ლექსებიდან გამორჩეულად მომწონს „ვარდი“ და „ქალბატონო“.

თამარ თამაზაშვილი: „ძალიან თავმდაბალი იყო, თვალებში ვერ მიყურებდა. სულ ვფიქრობდი, რა შემეძლო მისთვის გამეკეთებინა. მაგრამ, ვერ მოვასწარი ისე მოვფერებოდი, როგორც მე მინდოდა და მას ეკუთვნოდა. მართლაც ძალიან დიდი ბუნების ადამიანი იყო. ვისაც შეუძლია უშურველად გასცეს და ყოველგვარ მატერიალურზე მაღლა დადგეს, ის საწყალი ვერ იქნება. ამიტომ, არ მომწონს, როცა მას ასე მოიხსენიებენ“.

პოეზიის საღამოს მასპინძელი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელი ლალი გურასპაული გამოვიდა ინიციატივით, ყოველი წლის 2 ივლისს ლევან ალავერდაშვილის საღამოს ჩატარება დედოფლისწყაროში ტრადიციად დამკვიდრდეს.

ილია მარტყოფლიშვილი

უშანგი წყარუაშვილის ხსოვნას

86 წლის ასაკში გარდაიცვალა სოფელ სამრეკლოს კოლორიტი, ათზე მეტი წიგნის ავტორი უშანგი წყარუაშვილი. წლების მანძილზე ის იყო გაზეთ „შირაქის“ რედაქტორის მოადგილე, ჟურნალ „ნიანგის“ კორესპონდენტი.

გასულ წელს დავურეკე, გაზეთის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით სტატიას ვამზადებდი, ამდენად, როგორც უხუცეს „შირაქელს“, **უშანგი წყარუაშვილს** რედაქციაში გატარებული წლების გახსენება კიდევ ერთხელ ვთხოვე. ეს ინტერვიუ დეკემბერში, საიუბილეო ნომერში უკვე გამოქვეყნდა. რამდენიმე თვის წინ თავად დამიკავშირდა, რედაქციაში სტუმრობის სურვილი გამოხატა. რა თქმა უნდა, სიამოვნებით ვუმასპინძლე და მოვუსმინე. ტრადიციულად, საქაღალდით ხელში შემოვიდა, ყოფილ თანამშრომლებს ჩვეული კომპლიმენტები სათითაოდ უთხრა. „შირაქის“ კედლებში 25 წელი გაატარა, ალბათ ამიტომ ყოველთვის ამბობდა, რომ რედაქციამ ბევრი ასწავლა და მის ცხოვრებაში დიდი წვლილი შეიტანა. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ჩვენი გაზეთი ბევრად გამოღვიძებულია და ყოველ ნომერს ინტერესით ელოდა. გაიხსენა ახალგაზრდობაში, ცნობილ ნათელმხილველთან ვანგასთან შეხვედრა და აღნიშნა, რომ ვანგას შესახებ წიგნის გამოცემა სურდა. კარგად ახსოვდა სოფელ „სამრეკლოს“ განვითარების წლები. წითელწყაროში გადმოსახლებამდეც საკმაოდ რთული და საინტერესო ცხოვრება ჰქონდა.

უშანგი წყარუაშვილი: „მთიული ვარ, დედა მყავდა მოხევე. 1937 წელს დავიბადე, ყაზბეგში ჩემი სახლი 1944 წელს დაიბომბა. დედამ ბავშვები საწოლის ქვეშ დაგვმალა, მაგრამ ჩამოქცეული ხე ჩვენს სახლს დაეცა, დედაჩემს კი ორივე ხელი სახსრებში ამოვარდა. მამა ამ დროს ომში იყო და დედას ოთხი მცირეწლოვანი ბიჭი დარჩა. არავითარი შემოსავალი არ გვქონდა, ომი და გაჭირვება იყო, ჭინჭრით ვიკვებებოდით და ასე გადავრჩით. პატრიარქის დედა იყო დედაჩემის დეიდაშვილი, დედამ გადაწყვიტა იქ წავსულიყავით, ომის გამო მთიულების დიდი ნაწილი სწორედ იქ წავიდა. ორჯონიკიძეში გამოგვინახეს საცხოვრებელი და იქ წავედით.ეკლესიის გვერდით დავბინავდით. დედამისი ძალიან გვეხმარებოდა, ამ დროს პატრიარქი საშუალო სკოლას ამთავრებდა. ორჯონიკიძეში 4 წელი გავატარეთ. საშუალო სკოლა იქ დავამთავრე და შემდეგ ქისტები გადაასახლეს და ჩვენ იქ ჩაგვასახლეს. წითელწყაროში გადასახლებამდე ყაზბეგის რაიონის სოფელ კარკუჩაში, დედულეთში ვცხოვრობდით. შემდეგ მთიდან ბარში ჩამოსახლება დაიწყო, კოლექტივები მათი სახლებით უზრუნველყოფაში მონაწილეობდნენ. წითელწყაროში ამ პროცესის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ვიყავი.

1957 წელს გადმოვედით წითელწყაროში... ოზაანი, ჯაფარიძე, ქედები, აირჩიეთ საცხოვრებელი ადგილიო. მე ქოჩების ტბა მომეწონა და ამ ტბის გამო აქ დასახლება გადავწყვიტე. თან აქ თბილად მექცეოდნენ. ქიზიყელები ძალიან კარგი ხალხია, მალე შემაყვარეს თავი. ჩამოსვლისთანავე კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა, მაშინ ეს აუცილებელი იყო. ადგილი რომ მომცეს, არაფერი არ იყო ეკალბარდების გარდა, მგლები მოდიოდნენ და ყმუოდნენ. დავქორწინდი და სიდედრთან ვცხოვრობდი, თან წვალებით ამ სახლს ვაშენებდით. ტრანსპორტი არ გვქონდა და მეზობლების რჩევით ვირი ვიყიდე, რომ მასალების მოზიდვა არ გამძნელებოდა. ეზოში დაბმული ვირი მგლებმა შემიჭამეს. ბედად გზაზე ვიღაც ქალმა გამოიარა, ვირის ტვინი მინდაო და მგლებისგან შეჭმულ ვირში სრული თანხა ამინაზღაურა. წითელწყარო სიღნაღს 1965 წელს გამოეყო და გაზეთი „შირაქიც“ ისევ ცალკე გამოიცემოდა. მანამდე სიღნაღის გაზეთში იყო გაერთიანებული და იქაც ვბეჭდავდი. ეს გაიგო მაშინდელმა რაიკომის მდივანმა ამირან გონაშვილმა. კომლეურნეობის თავმჯდომარე დაიბარა და უთხრა, უშანგი უნდა გამოუშვაო. კარგი კაცი იყო გაზეთის მაშინდელი რედაქტორი გოდერძი ტოკლიკიშვილი. გამოცდები ჩამაბარებინეს, ჯერ კორექტორად ამიყვანეს, შემდეგ ლიტმუშაკად. შემდეგ ოზაანელი ჯემალ მეხრიშვილი რომ წავიდა, რედაქტორის მოადგილედ გადამიყვანეს. საერთოდ, რედაქციამ დიდი განათლება მომცა და ხალხთან მიდგომა მასწავლა. სადაც მივიდოდი, ყველას ძალიან ვუყვარდი. ამ პერიოდში გაზეთში მუდმივად იბეჭდებოდა ჩემი მოთხრობები. წიგნებსაც ბევრს ვკითხულობდი, კითხვის გარეშე არაფერი გამოვა. ყაზბეგში წიგნები რთულად იშოვებოდა, ადგილობრივებში სულ 20 წიგნი თუ იქნებოდა. იქ ასეთი წესი იყო, ვინმეს წიგნი რომ ეთხოვებინა, ერთი დღით თიბვაში უნდა დახმარებოდი“.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყარო კიდევ ერთ გამორჩეულ ადამიანს გამოემშვიდობა. უშანგი წყარუაშვილი ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქციაში კორესპონდენტის პოზიციაზე, ხშირად ასრულებდა მორიგე რედაქტორის ფუნქციას და კომუნისტური რეჟიმის დროსაც ახერხებდა, ყოფილიყო თანამედროვე რეალიზმის ერთგული, მოვლენების შემფასებელი და, გარკვეულწილად, ხალხის ხმაც.

მაშინდელ მკითხველს კარგად ახსოვს მისი ჩანახატები, მოთხრობები. პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ ღალატობდა პროფესიას, ოდნავ განსხვავებული პროფილით-წიგნების გამოცემა დაიწყო სოფლის გამორჩეულ ადამიანებზე, კოლორიტებზე...

მისი „საფირმო“ ფრაზები არ ცვდება და გაზეთ „შირაქის“ მომავალ თაობას გადაეცემა.

იცხოვრა დიდხანს და ნაყოფიერად, დარჩა შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილი, რომლებიც მუდმივად იამაყებენ მისით.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ყოფილი თანამშრომლის

უშანგი წყარუაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

სამლოცველო სახლის როლი რწმენის შენარჩუნების საქმეში

ქალაქ დედოფლისწყაროში ერთი პატარა, რუსული ტიპის სამლოცველო სახლი დგას, ერთი შეხედვით, ვერც კი მიხვდებით, რომ აქ ეკლესია მოქმედებს. თუმცა, ამ ჭერქვეშ დიდი ისტორია და ტრადიციები ინახება. მაშინ, როცა კომუნისტური რეჟიმი ეკლესიებში ბოსლებს ხსნიდა და ფრესკებს კირით ათეთრებდა, წითელწყაროს ამ პატარა სახლში წირვა-ლოცვის ხმა არასოდეს შეწყვეტილა. რეჟიმი თვალს მხოლოდ იმიტომ ხუჭავდა, რომ აქ ძირითადად რუსები მსახურობდნენ და წირვა-ლოცვაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

ვაჟა პაპუაშვილი: „ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია 1962 წლიდან ფუნქციონირებს 9 აპრილის ქუჩაზე, არჟანოვების ყოფილ საცხოვრებელ სახლში. სადაც ახლა ეკლესია მოქმედებს, ეს არჯანოვების პაპის საცხოვრებელი სახლი იყო, რომელთაც საკუთრება დაუთმეს ეკლესიას. მანამდე სამლოცველო სახლი ამავე ქუჩაზე №49-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარდაფში მოქმედებდა. (მე იქ მოვინათლე). მაშინ რუსი მღვდლები მოღვაწეობდნენ და მრევლიც მხოლოდ რუსებისგან შედგებოდა. შემდგომ, როდესაც მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო ინტენსიურად აღორძინება და ქართველი მოძღვრები დანიშნეს, წირვა-ლოცვის ძირითადი ნაწილი მაინც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და რუსი ბებიები გალობდნენ. ის, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით მხოლოდ წითელწყაროს ამ სამლოცველო სახლში არ შეწყვეტილა წირვა-ლოცვა, ეს რა თქმა უნდა რუსული იმპერიული პოლიტიკის არცთუ უმნიშვნელო ელემენტია. მძვინვარე ათეიზმის ეპოქაში, როდესაც ქართულ ეკლესიას ჩამორთმეული ჰქონდა ყველა უფლება და ყველა ეკლესია ან საერთოდ დაკეტილი, ან საწყობად ქცეული იყო, სწორედ მაშინ, ამ სამლოცველო სახლში ისმოდა უფლის დიდებისა და გალობის ხმა, აქტიურად მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც უდაოდ პოზიტიური მომენტი იყო, რადგან ამ სამლოცველო სახლმა დიდი როლი შეასრულა რაიონსა და მთლიანად საქართველოში დაწყებული რელიგიის აღორძინების საქმეში.

გარდა ამისა, კომუნისტური რეჟიმის შედარებით რბილმა დამოკიდებულებამ ამ სამლოცველო სახლის ფუნქციონირების მიმართ მოგვცა ის, რომ თვით რუსეთიდან ბევრი საეკლესიო მოღვაწე, რომელიც იქ შევიწროვებასა და დევნას განიცდიდა, საბოლოოდ აქ ჩამოდიოდა და წითელწყაროში მოღვაწეობდა. მაგალითად თუნდაც მამა ვიტალის დასახელებაც კმარა.

სამლოცველო სახლი ასევე საინტერესოა იმით, რომ აქ ინახება უნიკალური რუსული ხატები, რომლებიც ბოლშევიკურ ტერორს გადაურჩა და მოტანილია წმინდა პეტრეს და პავლეს ეკლესიიდან. (ამჟამად იქ ხელოვნების სკოლა მოქმედებს.) აგრეთვე, წმინდა ნიკოლოზის ტაძრიდან, რომელიც მდებარეობდა ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე, შადრევანის წინ კორპუსის ტერიტორიაზე. ტაძარი დაანგრიეს 1927 წელს კომუნისტების ბრძანებით. აქ არის ორი უნიკალური ხატი, წმინდა ნიკოლოზის და წმინდა პეტრეს და პავლეს, რომლებიც წარმოადგენს დასაკეც ტრიპტონს და ასრულებდა ე.წ. მოძრავი ეკლესიის როლს. როდესაც დიდი კავკასიური ომი მიმდინარეობდა და რომლის წინა ხაზიც სწორედ აქ, ჩვენს ტერიტორიაზე გადიოდა, რუსის ჯარში ბრძოლაში წასვლის წინ წირვას ატარებდნენ და ჯარისკაცებს ამ ხატებთან აზიარებდნენ. ამჟამად დედოფლისწყაროს სამლოცველო სახლში ასევე ინახება მრავალი ძველი ხატი, რომელთა მნიშვნელობაც შეუფასებელია, როგორც სულიერი, ისე ხელოვნების ნიმუშის თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ 2012 წელს გაჩენილ ხანძარს ხატები გადაურჩა, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ხის შენობაში ცეცხლი სწრაფად გავრცელდა. ეს რელიგიური სიწმინდეები ათეულობით წლების მანძილზე რუსმა მოქალაქეებმა დაიცვეს, შეინარჩუნეს და დღემდე მოიტანეს“.

დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე: „ყველა ადამიანს, რომელიც ამ სამლოცველო სახლში დადიოდა ღვაწლი აქვს ამ ყველაფრის შენარჩუნებაში, რადგან ვიცით, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს ჩვენი ეკლესია ძალიან შევიწროვებული იყო. ყველა ცდილობდა, რომ ეკლესიისთვის რაიმე ზიანი მიეყენებინა. არჟანოვების ოჯახი ერთ-ერთი დამცველი იყო ჩვენი სარწმუნოებისა. კონკრეტული სახელების ჩამოთვლა გამიჭირდება, მაგრამ ბევრი შემთხვევა იყო, როდესაც სიწმინდეებს სარდაფებში, ან სხვენში მალავდნენ და ასე ინახავდნენ. შიში არსებობდა, რომ ეს ხატები რეჟიმის წარმომადგენლებს არ გაენადგურებინათ. 1962 წელს, როცა ეს სამლოცველო გაიხსნა, ადგილობრივებმა სახლებიდან მოიტანეს და ეკლესიას შესწირეს ეს ხატები. დამალული სიწმინდეები საამკარაოზე გამოიტანეს და შემდგომში უნიკალური ხატები სამლოცველო სახლში განთავსდა. ეს სახლები ეკლესიას დაუთმეს და სანაცვლოდ, ეკლესიაც მზრუნველობას იჩენდა ამ ოჯახის მიმართ. 2005 წლიდან მე წამოვედი უკვე ამ სამლოცველოდან და შემდეგ ახალ საკათედრო ტაძარში სისტემატიურად ვატარებდი წირვა-ლოცვას“.

2012 წლის 6 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე სამლოცველო სახლში ცეცხლი გაჩნდა. სამლოცველო სახლში დამონტაჟებული იყო დაცვის სისტემა, რამაც განგაშის რეჟიმი დროულად აამუშავა და სახანძრო-სამაშველო სამსახურის ოპერატიულად გამოძახება მოხერხდა. სწორედ მისი წყალობით მოხდა სიწმინდეების გადარჩენა. ხანძრის შედეგად ძველი შენობა იმდენად განადგურდა, სპეციალისტები მის დაშლასა და ახალი ნაგებობის აშენების აუცილებლობაზე საუბრობდნენ. თუმცა, ეპარქიისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო სამლოცველო სახლისთვის პირვანდელი სახე მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ. შემოწირულობებითა და მრევლის ფიზიკური შრომით აღდგენას დიდი დრო დასჭირდა, თუმცა, მიზნის მიღწევა მოხერხდა.

ილია მარტყოფლიშვილი

ძიუდოს ნაკრები ევროპის ჩემპიონია

ქართველი ძიუდოისტების ტრიუმფი ევროპულ ჩემპიონატზე. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ევროპულ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნაკრები გუნდური ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონია.

ფინალში ქართველმა ძიუდოისტებმა გერმანიას იოლად, 4:1 აჯობეს. ბრძოლები გურამ თუშიშვილმა, ეთერ ლიპარტელიანმა, ლაშა შავდათუაშვილმა და ლაშა ბექაურმა მოიგეს. ფინალამდე შერეულმა ნაკრებმა მერვედფინალში ხორვატიის ნაკრები, მეოთხედფინალში თურქეთი, და ნახევარფინალში იტალია დაამარცხა. საქართველოს ნაკრების აქტივში ევროპულ თამაშებზე 3 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალია.

ლაშა ბექაური: „ძალიან ბედნიერი ვარ და ჩემთვის მხოლოდ ამ შეგრძნების გამო ღირს ყველაფერი... ცხოვრება ამად ღირს, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლო, ქართული ჰიმნის ასაჟღერებლად ყველაფერი გააკეთო. ამჯერადაც ჩვენ ეს შევძელით, საქართველოს ძიუდოს ეროვნულმა ნაკრებმა საუკეთესო შედეგი აჩვენა, რისთვისაც ყველაფერი გავაკეთეთ. ყველას დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გულშემატკივრობისთვის, გპირდებით, რომ ჩვენ კიდევ ბევრჯერ გავახარებთ ქართველ ერს. ეს ჩემი ორი ოქრო თქვენ გეძღვნებათ.“

პოლონეთში მესამე ევროპული თამაშები ოფიციალურად დამთავრდა. კრაკოვში, ჰენრიკ რეიმანის სახელობის სტადიონზე საზეიმოდ დაიხურა კონტინენტის თამაშები და „კრაკოვი-მალოპოლსკა 2023“.

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში, ოთხ ოთახიანი ბინა 5-სართულიანი კორპუსის მე-3 სართულზე სასტუმრო „ავტოგრაფის“ წინ. ბინა არის რემონტიანი, აბაზანა-ტუალეტი კაფელ-მეტლახში, პარკეტით, ფანჯრები მეტალოპლასტმასის, შიდა კარებები შეცვლილი, ორი დიდი აივნით. ბინაში რჩება სამზარეულო, გაზქურა, გაზის გამათბობელი, წყლის გამაცხელებელი, შესასვლელში კარადა, საწოლები.

ფასი 25 000 $. ტელ: 595 32 47 61; 551 31 89 76.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 10.07		სამშაბათი 11.07		ოთხშაბათი 12.07		ხუთშაბათი 13.07		პარასკევი 14.07		შაბათი 15.07		კვირა 16.07	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	31 °	17 °	27°	14 °	26 °	14°	27 °	16 °	28 °	18 °	30 °	19 °	31 °	19 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი